

თეო ხატიაშვილი

ასოცირებული პროფესორი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, კინომცოდნე. 1990წ. დაამთავრა თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სპეციალობით. 1997წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: `სერგო ფარაჯანოვის მითოლოგიურ- მეტაფორული სამყარო~. 1998 – დღემდე კითხულობს ლექციებს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში; სხვადასხვა წლებში კინოს ისტორიას ასწავლიდა ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო-სატელევიზიო ცენტრში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო კურსს “XX ს.-ის კულტურა და კინემატოგრაფი”.1990-დან თანამშრომლობს სხვადასხვა ბეჭდვითი მედიაში, 2006წ.–დან მიჰყავს საავტორო გადაცემა “სალამო მშვიდობისა, ბაბილონ“ (საზოგადოებრივი მაუწყებლის I რადიო).1999_2001 ხელმძღვანელობდა ღმმ-ს ჯგუფურ სამეცნიერო-კვლევით პროექტს – `ქალი და მამკაცი კინოში: გენდერული სტერეოტიპები და მათი ტრანსფორმაცია~. 2004–2006წ. იყო საქართველოს ეროვნული კინოცენტრის სასცენარო კომისიის, ხოლო 2002–2004წ. `ღია საზოგადოება – საქართველოს~ ქალთა პროგრამის ბორდის წევრი.1998წ.-დან არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი.